საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1960-03
27/09/2021

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 14 სექტემბრის №2430-03 ბრძანებაში - „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის, 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,თ” ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 14 სექტემბრის №2430-03 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართულენოვან პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის ოდენობა ერთ სასწავლო წელზე განისაზღვროს დანართი №1-ის შესაბამისად;“
2. შევიდეს დამატება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 14 სექტემბრის №2430-03 ბრძანების დანართ №1-ში და ჩამოყალიბდეს ამ ბრძანებაზე დართული რედაქციის შესაბამისად;
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ფაკულტეტებსა და შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს;
4. დაევალოს კანცელარიას ბრძანების გაცნობა, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურებისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, იურიდიული სამსახურის, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციის სამდივნოსათვის;
5. დაევალოს შესაბამის სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება და დაინტერესებული პირებისათვის ბრძანების საჯარო წესით გაცნობა.

ეკატერინე გაფრინდაშვილი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი